

140
1959/3

პიონერი
1959





მთარ ხალხმეპირძე

საბავშვო ბაღი

გზისპირ საბავშვო ბაღია,
 ნაკადულს მოშვავს გზისპირი—
 ისე წმინდა და ლაღია
 ბაღის ბავშვების სიცილი.

დანავარდობენ, დახტიან,
 მხარში უდგანან ერთმანეთს;
 ჩიორები კი მალლიდან
 ნამიან ფრთებს აბერტყავენ.

გაზონებს შორის მომღვლები
 თავს დასტრიალებს ყმაწვილებს,
 წამი რა არის, ფხიზელ თვალს
 წამითაც არ მოაცილებს,—

რათა არავინ დაშავდეს,
 რათა არავინ გაცოვდეს;
 თეთრ ხალათებში ბავშვები
 თოლიებს მგვანან ფრთაქვიტებს.

როცა გარემოს დაბინდავს
 ჩამავალი მზის სიშორე,
 მოვლენ და მოვლენ დედები,
 მკერდზე იკრავენ პირმშოებს.

გზისპირ საბავშვო ბაღია,
 ბაღში სიამე უღევია;
 თითქოს და ხმებს ისინჯავენ
 პატარა ნაკადულები.



პ ი თ ე რ ი



საქართველოს ალკატორალური კომიტეტი
და ვ. ი. ლენინის
სახელმძღვანელო
პროფესორი სხვაობის
პროფესორი სხვაობის
პროფესორი სხვაობის

6

ი გ ნ ის ი
1959

გამომცემის წელი
XXXIII

რედაქტორი რევაზ მარჯანიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,
რ. ელანიძე, მ. ლეხანიძე (პრეზ. მდივანი),
მარიამიანი, რ. ქორჭია, გ. ფიცხვანიძე
(სამხატვრო რედაქტორი).

ს ა ბ ლ ი ტ ა ვ ა მ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი


ა. შალამბერიძე—საბავშვო ბალი (ლექსი) ვარეკანის	23
ბ. ფორდუა—გულის შუქი (ლოკუმენტური მოთხრობა. ვაგრაძეებმა)	2
ბ. შამფრიაანი—დიდი მწერალი-რევოლუციონერი (წერილი)	9
ბიონერული კლუბი	10
ვ. გვეტაძე—ზღვაზე, სოფლად, ფიქვნარებში (ლექსი)	13
ა. ზომერტიყი—სასკოლო ვენახი (ნარკვევი)	14
ა. ბუშინი—ლექსები (თარგმანი მ. ლებანიძემ)	17
ალფონსო კატა—მასწავლებელი (მოთხრობა. თარგმანი ნინო სამუქაშვილმა)	18
დ. იბოლაძე—შხარაზე (წერილი)	22
გ. ლებანიძე—წამალა (ზღაპარი)	24
გ. გიგაური—თონა (ლექსი)	26
ქ. ფირალიშვილი—განთიადი (ლექსი)	26
შ. ძიძიგური—დამწერლობის წარმოშობა (წერილი. დასასრული)	27
წიგნების სამყაროში	28
საინტერესო თემაზე	29
რატომ ვამბობთ ასე	29
ვ. სიღმონიძე—გამოჩენილ ადამიანებზე (წერილი)	30
იცი თუ არა შენ?	30
მოკლე ჟღერზე	31
თავისუფალ დროს	32



ვარეკანის პირველ გვერდზე „პიონერული ზაფხული“, ნახტი გ. ფიცხვანიძისა; ვარეკანის მესამე გვერდზე იუმორი; ვარეკანის მეოთხე გვერდზე—„ძირს კოლონიალიზმი“ პლაკატი დ. შენგელიას.

ეურნალი დასურათებულია. მხატვრების: გ. ლოლუას, ნ. შალიკაშვილის და გ. თოთბაძის მიერ.





გელის ხეივანი*

(დოკუმენტური მოთხრობა)

ნაწილი მეორე

1.

პოსტილებიდან, რეზერვებიდან, სასწავლებლებიდან ფრონტისაკენ მიმავალი გზა საუკუნოდ ამეგობრებს ადამიანებს. და სამხომოც ეს არის, როცა ისინი კვლავ შორდებიან. გულის ყოველ კუნძულად გაცივებით ერთმანეთს, და უკვე ერთად აღარა ხართ. და გგონია, რომ ნაწილი შენი გულისა მან გაიყოლია, მისი კი — შენ გამოგყვა.

წინა ხაზზე მოხვედრამდე განმანაწილებელი პუნქტები, სამხედრო ნაწილები და მათი შტაბები, მერე ქვეგანაყოფები ისრუტავენ ემოციურებს სამსაზად, ორ-ორად, ზოგჯერ თითო-თითოდ. ერთი შეხედვით ყველაფერი ანაბრად „თითოდ შესრუტული“ მეომარი. იგი ახალ გარემოცვაში, უცნობთ შორის ჰგავს ეულ ბუქს უღაბნიში. ასე „თითოდ შესრუტული“, არტილერიის მხვერავთა ჯგუფში იყო ოთარი.

მაგრამ ფრონტი დიდი ცხოვრების მიმართ იგივეა, რაც რუკა ქვეყნის მიმართ — შეუკუმული სივრცეშიც. მანძილშიც, დროშიც, ხოლო სივრცეშიც და სივრცის შორის ზოგჯერ იგივე მანძილია, რაც წამყვანსა და წამყვანს შუა თვალის დახამამებისას. ასეთ ვითარებაში სკოლის გრძელი პერიოდი როდია საპირო, რომ ჯერ გაიცნო და მერე დაიმეგობრო თანაკლასელი. აქ წამიც საკმარისია, გული გულთან შეეერთო.

ასე შეუერთეს გული გულს ოთარი და მიმანმა პეტროვმა, არტილერიის მხვერავთა ჯგუფის მეთაური.

იგი თითქოს აქ, სროლის ამ კაფაფონიაში, ამ ცეცხლში იყო დადაბებული და გაზრდილი, თითქოს ეს მისი სახლი იყო, ხოლო „აგი ძაღლები“ — ტყეები და ნაღები, თავზე რომ გადაზოლიდნენ, — მისთან გაშინაურებული იყვნენ და არას ერჩოდნენ. და რაკი მის „სახლკარში“ მოხუცდარი, ეს „ძაღლები“ შეეც მალე გაგიშინაურდებიან და არას დაგიშვებენ...

— საიდან მოხვედი, ყმაწვილო, შენ აქ? — ჰკითხა პეტროვმა, როცა უფროსმა მატროსმა ეგროვმა, გოგოსავით დაბაზმა, კორთელიანმა, პირტიტევილმა, ცეცხლში გამოვლილმა და სირბილისაგან დაქანცულმა, წარუდგინა ოთარი სიტყვებით:

— მხვერავი, იაბლონკის მურწნობიდან! ეს მშვიდობიანი სიტყვა „მურწნობა“ გამოხატავდა შემდეგ: ღუნის სამხედრო ფლოტილის სამხედრო თანხლებს დამრტყელი სადესანტო რაზმი! იაბლონკი, პოდპოლკოვნიკი, ამ რაზმის მეთაური იყო.

— ფოთის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლიდან, ამხანაგო უმცროსო ლეიტ...

— არ გინდა ასე! მე პეტროვი გქვია; ვასია. დაწევი! ეს მანძილები ახალ ხილს ეტანებიან!..

ოთარი უსიტყვოდ დაემხო პირტევი. მარჯვენე ტყვიამეტრქვევის მოკლე ჯერმა ჩაიფულია.

— შენა... — განაგრძობდა გაწყვეტილ საუბარს პეტროვი, — შენი სახელი?

— ოთარი.

— ატარი. — ჩაეკითხა პეტროვი.

— რატომ ატარი. ო-თარი!

— ეკ, არა ძმობილო, სანამ ამ სახელს დავისწავლიდე, დაეცხებე ლონისა... რაღებისა ხარ?

— მეჩვიდმეტეში, ამხანაგო უმცროსო...

— ა, კიდევ!

— მეჩვიდმეტეში, ამხანაგო ვასია!

— აბა, მე შენი ტოლი ძმა მყავს ტამბოვში, ლონია ჰქვია; თუმცა იგი მთლად ცეცხლისფერია, წენ შავი ხარ. ლონისა, მაგალითად, რამე კი ვერ გაგზავნი კაცი დაზვერვაზე — ქული რომ გადასძებეს, თმა გაამხელს.

ოთარს მივლი გულისყური გაღმა, მტრის მიმართისაგან ჰქონდა მიპყრობილი. ძალიან უნდოდა ენახა ის მხარეს კაცი, მაგრამ სულდგმული არაფერი მოძრაობდა.

აუღიენცია დამთავრდა. იწყებოდა საქმე. შუალამე რომ გადავიდოდა, სამნი — პეტროვი მარჯვენა ფლანგში, მარცხნივ, ასიოდ ნაბიჯზე ოთარი და ამდენივე მანძილის დაშორებით ეგროვი უნდა გახსენებულიყვნენ წინ, საწყისი პუნქტიდან ერთ კილომეტრზე, ჩასანგრებულიყვნენ ბუქნარის პირას, ღამე ეთვალთვალეზინათ მტრის მოძრაობისთვის, ხოლო გაათენებისას რუკაზე შეეტანათ მტრის საცეცხლე წერტილები და დამრტყელიყვნენ უკან.

...ოთარს ჩასანგრება არ დასჭირებია — მოხერხებულად მოეწყო ნაყუმბარებში, წინ მიწყაილი მიიშინადა და მიუწყო.

ვერ იქნა და ვერ შეეგუა ოთარი იმ აზრს, რომ, როცა ხმანაღლა მოლაპარაკე რადიორეპორტორიდან ესმოდა გერმანული სიტყვები, ეს მტრის მხრიდან კი არ იყო, არამედ ჩვენების მხრიდან, ხოლო არსულს

* გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 5.

თუ გაიგონებდა, ეს უსაულოდ გერმანელების წინა ხაზიდან იყო გადმოცემა.

ეს კი იყო: როცა გერმანულად გადასცემდნენ ჩვენები, მტრის მხრიდან საძაგლად უშენდნენ ქვემეხებს და ნაღმსატყორცნებს, თუ რუსულად—მაშინ ჩვენები ასტებდნენ კაკაფონიას.

რუსულად ასეთი სიტყვები გაიგონა: „რუსებო, დაპყარეთ იარაღი, გადმოიღეთ ჩვენსკენ!“

ეს ოთარის შემდეგნაირად გაეგებოდა: აი ასეთ უკუნეთ ლაშქრო, ვთქვით, მიდიხარ სასაფლაოს შორიხალო, და უკლებ მოგესმა: „მე გეძახი მკვდარი, სასაფლაოდან, ჩამოდი ჩემს საფლავში, და ჩაწევი ჩემთან!“ ეს ობრები დნესტრამდე მიგვიტრეკავს და ახლა გვეპატეხებიან? მოვალე! მოვალე!

მაგრამ იმ გერმანულთი, რაც დიდუბის სკოლაში უსწავლია და შემდეგ კითხვით გაულტრებები, რაკი ბერლინში შესვლა გადაწყვეტილი ჰქონდა, მოისმინა ასეთი საოცარი რამ:

პირველ დაუთითავრებელ წინადადებას მოჰყვა ერთადერთი ასეთი ქუჩი გადმით. ლავა მსლაგროლ ჩაქუჩებოდა ნაყუმბარეგში, ორმოს ფსკერიდან აიტაცა თითქოს ოთარი და კვლავ დაავლო.

ბამლერის ხმა მიყლი. ჩამიჩუმე აღარ ისმოდა. ახლა სულ სხვა მხრიდან გაისმა იმავე ბამლერის ბარიტონი:

— გენერლები...

„შექ!“—წამოვიდა კვლავ ქუჩები და საზარელი ზათიტი დაასკდა მიწას, ახლა უკვე ოთარისგან მოშორებით, მაგრამ ნამსკრევევებმა მაინც ტორალებით გადღუფილეს თავზე.

„მისწვლია, ნაყუმბარეგში ყუმბარა არ ჩაეთრდება,—მოიდა ოთარმა იმედი,—ხარჯი ლითონი... ათქვეინონ მაინც ამ ვილაჲ ბამლერს“.

თავიდან ვადამპტალი უწინაფრო ქუდი ხელების ფეაურით მოიწახა, ბარძაყზე დაიბერტყა, დაიხარა, წამოიწია, ნაყარი მიწა ზურგიდან გადაიბერტყა.



— შენა?—განაჯრობდა გაწვევით საუბარს პეტროვი.—შენი სახელი?

— აბტუნგ, აბტუნგ!—ყურადღება! ყურადღება! მტრის მხრიდან ატეხილმა სროლამ შთანთქა ეს სიტყვები. მაგრამ უცნაური ხმა შეუპოვრად განაჯრობდა:

— დიდიშე სოლდატენ, ოფიცირენ უნდ გენერალიენ! შპრიტ ოიერგ ბეჯატერ ბამლერ! *)

თითქოს მთლად ზურგს უკან მოესმა ეს სიტყვები ოთარს!

მოგისენიათ ოთარში კრიკინას გულსგამაწყვრილებული ხმა? დაუბაკუნებ ფუნს იატაკზე გაბრაზებული, მიჩუმდება კრიკინა. მერე კვლავ: კრრრ-იჲ-კრიიიჲ!

რატომ სიტყვით არ გამოიხატება ქურვის ფიცილის მობალობა, მიწაზე დაეცემა და ვასკლიმა? ნოტებზე არ გადაიხატება ნეტავ იგი? იმ უცნაური „დიქტორის“

— გებოლიე, — განაჯრობდა იგივე ბამლერი ახლა ოთარის მარცხენა მხრიდან. მოგებოლიათ, ეტყობა ამ უცნაური დიქტორის დენა გადმიდან, სროლა მეტი აღარ გამოეგებულა, — გენერლები...

და მერე გაოგნებულ ოთარს კანტიკუნტად ესმოდა ის, რაც მალე საქვეყნოდ ცნობილი შეიქნა:

— გენერლები: ფელკერსი, ჰოლიტცერი, მიულერი, ფონ ნილტცივი, ტრაუტი, ბამლერი, კლიამტი, ფონ შტაინკლერი, კონრაიდი, ტროვიცი, ენგელი, მიხაელისი, მიულერი-მიულოვი, გირი, გოტფრიდი ფონ ერლმანდსდორფი, შმიდტი, — დაკავშირებულნი მრავალი წლის სამსახურით, და ორი დიდი ომის მონაწილენი, მოგმართავთ თქვენ, გერმანელი ხალხისათვის სახელისწფრო ეამს. ჩვენმა უკანასკნელმა ბრძოლებმა, და განსაკუთრებით, არმიების ცენტრალური ჯგუფის დამარცხებამ, რაც საბოლოოდ წინასწარ განსაზღვრავს ომის შე-

*) გერმანული ჯარისკაცობა, ოფიცრება და გენერლები ლაპარაკობს თქვენი ნაცნობი ბამლერის!



ფრთხილად, დაკვირვებით შეჰქვს რუკაზე მტრის შენიღბული საცეცხლე წერტილებს.

დღეს, საესეებით დავგარწმუნეს შემდგომი ბრძოლის უმეცობაში და ამიტ გვაფუძრებინეს გამოვიდით ამ მოწოდებით:

...მოიგონეთ რუსების 1944 წლის ზაფხულის შემოტევა არმიების ცენტრალური ჯგუფის წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია 30 დღეიზის, ესე იგი არმიების თითქმის მთელი ჯგუფის მოსპობა. ამ უთანასწორო ბრძოლებში რუსების მიერ ტყვედ იქნა წაყვანილი 21 გენერალი, მათ შორის ჩვენც, ათზე მეტი გენერალი დაიღუპა.

ყველა გენერალი და ოფიცერი, რომლებსაც შეგნებულნი აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა, დღეს ალტერნატივის წინაშე: ან ელოდოს, სანამ პიტლერი დაღუპავდეს თავითონ მათ და გერმანიის არმიას და თან გაიყოლიებდეს საფლავში მთელ გერმანულ ხალხს.

ან ძალას უპასუხოს ძალით—წინააღმდეგობა გაუწიოს პიტლერს, არ შეასრულოს მისი ბრძანებები, ბოლო მოუღოს პიტლერულ რეჟიმს და ამით ბოლო მოუღოს ომს.

მოწოდება ჩაწერილია ჩემს მიერ საკუთარი ხელით იმ გენერლებს ჯგუფის დავალებით, რომლებმაც პირადად მოაწერეს მას ხელი. ბაძლერი, გენერალ ლეიტენანტი, იმ-12 ქვეითი დივიზიის მეთაური.

2.

ერთი ვასროლაც ვერ მოვასწარი, ესენი კი იარაღს ვკრიან—გაიფიქრა ოთარიბა.

მერმინდელი ამბებით დავგარწმუნეს, რომ ასეთი ფიქრი ნაადრევი იყო.

...მტრის მისროლილი ჰქონდა ნეიტრალური ზონის ყოველი მტკაცელი. ორიოდე კილომეტრის იქით სხვა სამყარო იყო. ახლა იგი ცხოვრების დიდ, ჯერ კიდევ შეუცნობელ არენაზე გამოსული, ამ სხვა სამყაროს პირისპირ იდგა საკუთარი სიცოცხლის ფასად. იგი ნათლად გრძობდა თუ ცხოვრების რა დიდ გზაზე იყო გამოყვანილი ომის მიერ, წულისსოფლის რა ორიონტიალში იყო მოხვედრილი. მაგრამ ეს მოულოდნელი როლი იყო მისთვის, სწორედ ამისკენ მოიწარაფოდა იგი.

იგი მიისწარაფოდა მტერთან შეხვედრისაკენ, იმ მტერ-

თან, რომელთანაც ბრძოლაში დაეცემა მისივე შობილიური სკოლისა და უბნის აღზრდილი ქართველი ვაჟაკი ნოე ადამია, და ვისთანაც ბრძოლაში გმირობას შარავანდელით შემოსილა ნოე ადამიას უმცროსი თანაკლასელი ოთარ ჩენელაშვილი.

მას თვალწინ ედგნენ არა ისინი, სკოლის მშვენიერანი და სანაჭობინი, ბავშვობაში მოკრძალებით რომ აუთვალეირ-ჩაუთვალეირებია, არამედ მათი პორტრეტები, სკოლის ფოიში საამაყოდ და სამაგალითოდ რომ იყო გამოკიდებული. ამ პორტრეტებიდან ის ვაჟაკები გამოიყურებოდნენ არწივის გამოხედვით, მგონით შეტრუსული მღვლისფერი გიმნასტურებით, მერსზე ოქროს ვარსკვლავებით—ვაჟაკები დიდუბიდან.

ასოვს ოთარს—ლასთან ერთად არაერთხელ მდგარა ამ პორტრეტების წინ, და ერთხელ ლიას უთქვამს: — ხომ ამაყობ, ოთარ, რომ ისინი ჩვენი უზინდან არიან?!

ამ სიტყვებს ოთარისთვის თითქოს ფეხებზე წინადაც გამოუტყლია, რაღაც შინაგანი სირცხვილი უგრძნობინებია.

ახლა კი შინაგან საამაყეს გრძნობდა, რომ იმ გმირების უმცროსი თანაუბნელი, თვით იდგა დიდი ცხოვრების გზაზე.

* * *

არსად ისე საამო არ არის ზაფხულის გათენება, როგორც ფრონტის წინა ხაზზე. ღამე რომ გადის და ნელნელა ნათდება, მოქანკული სათომაო მანქანა წუთით დუმდება, თითქოს ჩათუთიბიო. შეგმას გრძნობ, საიდანაც ყველაზე გაბედული თუ უგუნური ჩიტაც ავიფრთხილდება და წიფწიებით ჩაგიშურდულებს. სახეზე გელაზუნება ნელი ნიავი. ვაჟაყურბ მტრის მხარეს და იკვირის—რა სიწყნარა, რა უპაკირელობაა, წუხელ კი რა ამბავი იყო!

მაგრამ ეს ყველაფერი წუთიერია და მატყურა. მალე კვლავ იგუგუნებს ცეცხლის მანქანა. ახლა იწყება საქმე. პლანშეტზე რუკა დაფინა, ბინოკლი მოიმზარჯე. უტკეირის ვაგმა მხარეს. მკვდარი მიდამო ცოცხდება. აქა-იქ შესამჩნევია მოძრაობა. მტჩხერი სილუეტები დალასსებენ ტრანშევიდან ტრანშევიბისკენ და კვლავ პქრებთან. თხრილები, მიწყაროლების ვიწრო ზოლები... ნელნელა იზღაზნება, იზმორება იქითა მხარე და შემოდის ბინოკლის ობიექტივში. ხედავს—გერმანიას თითქმის მთელი თავისი საომარი მანქანა აქ წამოუწყვია, რათა ზღუდელ კბილით დაიკვას. ფრთხილად, დაკვირვებით შეჰქვს რუკაზე მტრის შენიღბული საცეცხლე წერტილები—შორს მღვლისფერ ტილოვადახურული მსხვილყოლიბიანი ქვევები და ნალმსატყონებში, სახენიტო დანადგარები, ტუყამაშტქვევთა ძელმიწურები, სიმაგრეები, უფრო ახლოს—ჩირგვებთან ჩამარბული სნაიპერები.

ახლა ბინოკლი თავის მეზობლებს მიუშვია. უბრალო თვლით შვე წერტილად რომ მოჩანდნენ, ბინოკ-

ლით აგერ თითქოს სულ გვერდით ამოიწვენდა ხან ერთს, ხან მეორეს. გასცქეროდა ხან ეგაორთვის კორფლიან, ოფითი დაცვარულ სახეს, რუკას რომ დასერეობოდა, ხან მიმან პეტროვს — შუბლადარულს, აგრეთვე ბნოკლმომარჯვებულს, ბორცის ამოფარებულს.

...სახზობის დრო აღწევდა, ახლა ითარბა შენიშნა, რომ მიმანნი მკლავს გვერდზე შლიდა ეგაორთვისა და ოთარის მისამართით. ეს შინ დაბრუნების ნიშანი იყო. მერე მიმანნი დაგორდა ბორცვიდან. როცა გაივია, ოღნავ წამოიწია, წელში მოხრილი გაესწრაფა ახლა სამხრეთით, ქლავის ბაღისაკენ. ეს მათი შესაკრები პუნქტი იყო, აქ უნდა შეეჯერებინათ თავიანთი რუკები.

მაგრამ ბალამდე მთელი ერთი კილომეტრი მისროლილი ტრიალი მიწლირი იყო.

ცეცხლის ხაზიდან დაბრუნება ძნელია. წინ წასვლა მასთან შედარებით ისეთია, თითქოს ბილის საკრეფოდ მილიოდ.

თავდაცვისას მზვერავებს ხშირად უწყვეთ ასეთი ძნელი, იძულებითი უკანდაბრუნება.

ოთარმა ჯერ ეგაორვის მიუშვია ბინოკლი. იგი ამოზომილებულიყო სანჯრიდან. ეგაორვი კარგა ხანია მისროლილი იყო და ამიტომ ფრონტული გასაჭირის აბუხად ამგდებოდა. პურვი რომ ზედ მის გვერდით სცდებოდა, ნირსაც არ შეიცვლიდა, მიწვის გარეთმულს ერთი კი შეუტახცახლებოდა უნებლიედ ბარბაქები ცხენივით და არხინდა განაგრძობდა წინ ხოხვას.

მიმანნი მიანც მიჩნადა, რაც უნდა იყოს, მეთაური, და იგი მთლად ასე აუგდა არ უნდა უხსენებინა ტყვიას, მაგრამ დროადრო მასაც აკადრებდა შეუწყებას. მაშინ იგი რადაცნაირად მუშავდა მოიკუმშებოდა, კურღმეფივით ოთხად მოიკავებოდა და მორიგი ხახტომით წინაურდებოდა.

ახლა მთავარი იყო სნაიპერების ზონიდან გაღწევა. თუმცა დედის ტბილი კვერები არც წინ ელოდა არა-

ვის — ტყამფრტვევებისა და კურეების ზონა იწყებოდა მაგრამ კიდეც ესა სჯობს. რამდენადაც „დიდუნებოვანია“ ნაღმსატორცისს კურვი, იმდენად ეგვაგანსნაიპერის ტყვია. მოქნეული შოლტეანი სტეგენს, ბეჭის და წივილით ესობა მიწაში. აბა, რა სჯობდა ახლა ოთარისათვის წამომდგარიყო და თავბრულამზვევი სისწრაფით, როგორც ეს სასკოლო ფეხბურთში შეამარბობის დროს იცოდა, გაკრილიყო წინ. მაგრამ ამის ნებას არც ახლახან დასწავლილი სამხედრო წესდება აძლევდა და არც მდგომარეობა — მტერს სამივე მხობივ წერტილი შეშინეული ჰყავდა, მიზანში ამოღებული, და ურტყამდა სნაიპერის თთიდან.

როცა ტოანი კიბილი ტკივა კაცს, საღზე ფიქრობს — ეს რომ ამტკენიოდა, ასე არ შემაწყუხებდაო. სნაიპერების ზონიდან თავის დაღწევას მონატრებულებს, ეგონათ ნაღმების ზონაში ამოისუნთქვედნენ. ერთხელ კიდე წამოიწია მიმანნი ნახტომისათვის. შადრენად მიუშვა მტრმა ტყვიამფრტვევის გრძელი ჯგირი მისკენ. შორიახლო გარბოდნით ოთარი და ეგაორვი. ახლა ხან აქ, ხან იქ ზათქით და ზრილით ასკედნიდნენ მიწის კურეები. ზოგზავად გარბოდა მიმანნი, წამით შედგებოდა, უურს მიუგებდა თურვის სტეგან-ზრიას და იქითკენ გაესწრაფებოდა, სადაც ნაკლები საფრთხე იყო. ხან დეცემოდა, მიწის უურს დააკავდა, თითქოს გულსცემვას უსინჯავსო და შორიახლო მოხავ ბიჭებს გასახებდა: „წინ, არწევიო!“ ეს ისე, გულის მოსაცემად, უფრო კი საკუთარ სიცოცხლეში დასარწმუნებლად, ჩამორბოლი სიკვდილი ბურუსის გასაფრთხილად, და კლავ გარბობდა. თითქოს კატათავგობანას თამაშობდა ეს კაცი კურეებთან, ისე მოხიზრებულად გაუხსლტებოდა ხოლმე მისროლოდ ზონის.

— ნუ დამტოვებ! — მოესმა მიმანის ნაკვალავზე ახლა თავგანწირვით გაქცეულ ოთარს. — არ გაიტყე!..

ეს ხმა უფრო დაბალი და სასოწარკველით იყო.

ოთარი მიწაზე გაიშვაროდა, მუცლით ამ ხმისკენ შემობრუნდა. არ უნდოდა დაეჯერებინა, უნდოდა მოჩვენებად ქცეულიყო ის, რასაც ხედავდა. ხედავდა კი საზარელ სინამდვილეს. მოკაცული ეგაორვი მოაქანავებდა უღიმეაოდ ჩამოშვებულ მკლავს, მატროსულა მხრებზე შემოგლეჯოდა. მაცკა არ იცის, რაზე ეივია მკლავს, ვარჯვენა ბეჭი გაგლეჯოდა.

— ეგაორო! — შეჰყვირა ოთარმა, მძლავრი ნახტომით მასთან გაჩნდა, შეუღდა ზურგიით და დაიძრა მიმედ, დღებებოდა ზურგზე მოკიდებული აწხანვის სისხლით.

„შეშ — ვაშ! — მოადინა ზატქანი კურება და აფანტა ჰაერში მიწისა დოლითონის ნამსხვრევთა შავი შადრავნი.

„ნაუემბარევი!“ — გაუღვია უცემ ოთარს.



მიმანნი დაგორდა ბორცვიდან. როცა გაივია, ოღნავ წამოიწია.

მიჩმანს უკვე შეეღწია ქლივის ბაღში, ხედავდა ცეცხლში მოქცეულ მეგობრებს, თითოეტი იმტვრევდა, ნერვიულობდა. რატომ არა პქონდა მის თვალებს ჯაჭვის ძალა, მოედო მათთვის, შეეცრა და მთელი ძალით მოეჭმა თავისკენ, სამშვიდობო-საკენ.

— ეგოროვ! — შეინჯღრია ოთარიმა მეგობარი, როცა ნაყუმბარეში ჩამოათრია და პირდაღმა დაწვინა.

— შემხსენი ჰლანშეტი! — ძლივ ამოიღულულა მან.

ოთარი მიხვდა რასაც ნიშნავდა ეს—სიცოცხლესთან გამოთხოვებულს უნდოდა საიველ ხელში დეტოვებია ის, რასაც შეეწერა, — ჰლანშეტი რუკით.

— ეგოროვ!

მაგრამ ეგოროვის ბაგე სამუდამოდ დადუმებულიყო. ...მორეუელი დნესტრიდან მტროლავი ნიავი ენანავე-ბოდა ქლივის ბაღს, კაცმა არ იცის ვისას, ახლა ომის ცეცხლი შეტრუსულს, თითქოს სულს უებრავს, თითქოს გადააშვარს ტკივლები უნდა დაუუქროსო.

ქედობილინი, თავდაბრილინი, ცალ მუხზე დაჩოქილი იდგნენ ჩხეიძე და პეტროვი მეგობრის საფლავთან. პირველს მისი ნაცრისფერი, სისხლით დაწინწკლული კომპაჟინური ბილითი გადაეფურცლა, რომელშიც ჩაქრული ფრჩხილისოდენა ფოტოსურათიდან წვრილი, ღრმად ჩამჯდარი, კეთილი თვალები მისჩგრებოდნენ, მეორეს შავი მელაიონიდან ამოებრახნა პატარა გრავინილი, რომელშიც ეწერა: „ეგოროვი, ქუშმა ილიარიონის ძე, დაბადებული 1921 წელს. ტამბოვის ოლქი, სოფელი ნოვოსელკა“... ხოლო გრაფის გასწვრივ — „ვის ეცნობოს!“—დედას, კლავია პოლიეჟკის ასულს.

— მამა სამოქალაქო ომში დაიღუპა, — მიმიედ წარმოთქვა პეტროვიმა, — შეიღო კი ამ ომს ემსხვერპლა. მით-ტა თქვირა რუკები! — დაატანა მან მცირე პაუზის შემდეგ მკაცრად, თითქოს ამით სურს ბოლოს გაქარვებაო, და ხელი გაუშვია ჩხეიძეს.

3.

მეორე დილას ცეცხლის ნიით ამტკველდნენ ის რუკები, ფრონტის წინა ხაზიდან ასევე სისხლით მოპოვებულ მრავალ სხვა რუკებთან ერთად. ეს რუკები სწრაფად გადადიოდნენ შტაბიდან შტაბში, დღეიზიონიდან ბრიგადაში, ფლოტილიდან ფრონტზე, ვიდრე ფრონტის სარდლობამდე. მათზე თავი დაეხარა არა ერთ აღმირალსა და გენერალს.

მერე ეს რუკები, შესწავილი და დამუშავებული,



ახლა ბინოკლი თავის მეზობლებს მოუშვარა

კვლავ ემგებოდნენ ზემოდან ქვევით — გენერლებიდან და ადინორლებიდან ჯარისკაცებამდე და მატროსებამდე, ოღონდ არა რუკებამდე, არამედ ერთ მოკლე სამხედრო ბრძანებამდე:

— შეტევა!

არმიების ჯარების მეომრებთან ერთად შეტევაზე გადადიოდნენ მუხლგაურები — მათი ერთგული მეგობრები, მათთან მხარდამხარ მებრძოლნი სტალინგრადთან და ქერჩში. უკრაინის მე-3 ფრონტის მარცხენა ფლანგის სპეციალურ ჯგუფს ღუნაის ფლოტილის თანამოქმედებით ფრონტის მთავარი ჯარების შეტევის მეორე ღღეს უნდა გადაეღაბათ დნესტრის ლიმანი.

განიერია დნესტრის ლიმანი. ...მუხლგაურები ფლოტილიდან ფლოტილიაში რომ მოღინ, მანინვე ხდებიან მღვამარეობის ბატონ-პატრონად.

ასე შემოუერთდა ცნობილი ქერჩის 369-ე საზღვაო ბატალიონის ნარჩენი ღუნაის ფლოტილის სახმელეთო თანხლები პოდპოლკოვნიკ იაბლონსკის დამრტყმელ საღესნატო რაზმს, რომელიც დნესტრის ლიმანზე რაპსელის რაიონში 19 ივლისს შეიქმნა.

ისინი განლაგებაში მოსულიყვნენ ღამე, როცა ოთარის მიჩმან პეტროვის ბლინდაეში იქნა.

ახალმოსულთა შორის იყვნენ: მეორე სტატის ზემდეგი სამი ორდენის კავალერი პავლოვი, ოცდარვა წლისა, მხრებგანიერი, საშუალო ტანის, ახალნახზებარი კაცივით გაბრაზებული და დაქანცული სახის, რომელიც მზად არის კვლავ ემტროს მოწინააღმდეგეს; პირველი სტატის ზემდეგი ბორზივი — ოცდაათ-ოცდათორმეტი წლისა, მომეგებული, ქერა, მუხლგაურული წვერიით, ცისფერთვალემა, საშუალო ტანის, სამი ორდენის კავალერი, ცნობილი მუხვრავი მთელ ფლოტში ქერჩის ოპერაციების დროს, და... დამხედურთა განსაკვივრებულად, — მთავარი ზემდეგი, სანინსტრუქტორი კატია მიხილოვა. იგი თერამეტი წლისა იყო, ქერათმიანი, პატარა ტანის, გამხდარი, ვერ იტყოდით ღამაზიოა, მაგ-

რამ რაღაცნაირად მიმზიდველი, სამი ორდენის კავალერი — ქერჩის ცნობილი დესანტის გმირი გოგონა.

საოკრად მშვილობიანი დღა გათენდა. დნესტრის გაღმა-გამოღმა ნაპირებს კარგა ხანია ასეთი მყუდროება არ სსომებიათ. სადღაც ბუჩქნებში და მცხებერ, შერეულ ტყეში ჩიტებიც კი გამოჩნდნენ, გაიხვედნენ და პიკტიკო მორიგეს.

მოზარდები ფრონტზე მცირე „გამოდარებას“ რომ მოიხდლებოდნენ, მთლად ბავშვებად იქცევიან. უნდათ იმ უზრუნველ წუთებში ერთბაშად შეავსონ ფრონტულ გასაქირში გამოტოვებული სიცილეტე.

მთლად „გამოდარებულიც“ არ იყო. მაგრამ წინა დილასთან შედარებით ისეთი მყუდროება სუფილდა — გეგონებოდათ გერმანელები სხვაგან გადავიდნენ.

ოთარი ჯარ კიდევ ყირაზე გადადიოდა ფარდულს უკან, ნაშინ, ღორთქო პალატებში, შემდეგ საიდანღაც ძველი, დამტვირთი თექის ნაგლეჯი გამოათრია და ლეწოლი სახლის სარდაფიდან და ჩაიხიზოდა — მისგან როგორმე ბურთი გამოეყვანა...

პეტროვმა, რომელიც შორიახლო იღდა, დაკვირვებული გლეხის თვალთ ახედა ცას, მერე თვალზე ხელის მორჩილით მიაპყრო მზერა დნესტრის გაღმა პორიზონტს, თავი გადააქანია და თქვა:

— ძალიან აცხუნებს ეს დილის მზე. წვიმა მოვა, ოთარიმაც ახედა ცას — ღრუბლის ნატამალიც არსად ჩანდა, წზე კი, კაცმა რომ თქვას, არც ისე მწარედ აცხუნებდა.

— საიდან მოგჩვენა, ვასია, წვიმა? — ეთხა პეტროვს.

ოთარი ეერ მიხედებოდა ათას ცეცხლში გამოვლილი მიჩნანის ნათქვამსაც ფრონტზე სიჩქმე საშიშია. ამ ღუმლის არ შეიძლება უცაბედი დარტყმები არ მოჰყვეს.

— აბა, შინ, ბავშვებო, შინ — დაუტატანა პეტროვმა ოთარს და...

ოთარმა ახლავა შენიშნა, რომ მოშორებით ტყის პირას, პატარა მინდორში ყვავილებს ჰკრეფდა ვიღაც გოგონა, სამხედრო ფორმაში ჩაქმული.

„შინაღ“ ფრონტზე, თავდაცვისას ითვლება შენიანების განლაგება — ბლინდავი, ტუისიირი, სანგარი, ტრანშეა, ბუჩქი.

მაგრამ მონი და დაუნაღე ახლა ამ გოგონას მინდორის ნიორფერი ყვავილების კრეფა! ისინი, წითლად და ყვითლად, თეთრად და მწვანედ აბიბინებულნი, პირდაპირ გიწვევენ, გეძახიან, ისინი გარწმუნებენ, რომ მათ შორის, მათს ახლოს არაფერი ცუდი არ შეგეპოხვება.

დნესტრიდან თევზი რომ საბალახოდ ამოსულიყო, ისე არ გაუყვირდებოდა ოთარს! „ქალი, კაცო, აქაა! — გააუიკვირა მან.

— სახშიო, ბრძანებაა, ხომ გესმით! — მოულოდნელად მოესმა ზურგს უკან ყვავილებში წელამდე ჩაფლულ კატას, რომ არც შემეცრათა. წელში გაიშარათა, მიეული კირაუსით შემობრუნდა უცნობისაკენ.

კატას წინ იღდა თავის ასაკთან შედარებით მალალი, მერდგანდანი, მაგრამ მაინც თითქმის პატარა ბიჭი, სახეზე ოდნე შესამჩნევი შავი ბუსუსებით, ჩანდა მის ლოყებს ჯერ სამართებელი არ მიჰკარებოდა, შევეგერმანი, მაყვალთვალემა.

მაგრამ ამ ქერათმიან, პატარა ტანის, სანდომიანი სახის გოგონასაგან ოთარი სულაც არ მოელოდა იმას, რაც შენიშნა, როცა იგი მკერდით შემობრუნდა მისკენ: ორდენებისა და მედლების წყება გენმსტურის საკინძედან ილიამდე ჩაშწირივებოდა, მთავარი ზემდეგის სასხრევიც ეკეთა.

ოთარი უხერხულად შეიმშუშნა, თურმე ვის შევხებრებებოდა, მაგრამ არ შეინძნია, რომ წოდებით უფროსის იღდა.

— იუნვა?!

ეს იყო განანადგურებელი შეკითხვა, მით უფრო,



რომ ამას თან ახლდა კატის თხელ, ვიწრო ტურბზე
 ოღნავ შესამჩნევი ალერსიანი და ისეთი დამატყვევებე-
 ლი ღიმილი, როგორცაც უდიდესი აჯილდოებენ ხოლ-
 მე პატარებს.

— რატომ იუნგა?— ეგრე დამლა ოთარმა წყენა, ნა-
 ბიჯი გადღა წინ და პირისპირ დაუღა კატის. კა-
 ტის ხვეული ქერა თმა ოთარის ნიკაპს შეეხო.

— აბა რამდენის ხარ?— არ შეიძინა კატამ, რო-
 ცა მიხვდა ოთარის ასეთი მოძრაობის აზრს.

— თექვსმეტისა. შენა?— და ოთარმა ხელით სიბრ-
 ტყეზე გაავლო ხაზი კატის თავსა და თავის ნიკაპს
 შორის.— შენზე დიდი ბომ ვარ!

— შენ ბიჭი ხარ. მე რამდენისა? განა ქალს წლო-
 ვანებას შეეციობებიანა?

— 31! ქალი!— დასცინა ოთარმა, მერე უცებ აენთო,
 ჩანდა რაღაც საშინელი მოკაგონა, ჩააშტერდა თვლებზე
 ში კატის.— მე... შენ... გიცნობ... ჩაილულულა მან

ოღნავ გასაგონად, მერე განაპირდა კატისაგან, ზურ-
 გით შებრუნდა, მატროსულას „საილუმო“ შინა ჯი-
 ზეში ფათური იწყო, მერე მზრბრუნდა და ზედ თვალ-
 თან მიუტანა კატის პატარა მკრთალი სურათი.

— ოჰ,— შეკრთომა, რომელიც სლოკინს უფრო ჰგავ-
 და, ამოხუნვით გამოხატა კატამ.— უსინდის!— და-
 უმატა მან მკიერ პაუზის შენდევ და თავი დახარა, ყვა-
 ვილებიანი ხელი დაბლა დაუშვა. მოწყვეტილი ყვავილები
 დაუკრეფავებს ჩაეხლართინენ, თითქოს ეთხოვებინათ...

— ვინ, მე?— განცვიფრდა ოთარი.

— შენ რათა,— და მარცვლითა თქვა კატამ, თავი
 განზე მიიბრუნა და დაუმატა,— ვინც ეს სურათი მოგცა!

— მას არ მოუცია! ის ჩემს გვერდით დაიღუპა!

— შეკვირა ოთარმა, და ახლა ეგოროვის კომკავშირუ-
 ლი ბილეთი ასწია,— შენი სურათი ამ ბილეთში იდო!..

დნესტრიდან საზარელი სტვენა მოისმა. ეს მოულოდ-
 ნელი იყო, რადგან გასროლის ხმა არავის გაუგონია.

ამ სტვენას მოჰყვა ნაცნობი ზათქი და ზრიალი. მერე
 თითქოს ათასი ტოროლა ერთბაშად აიჭრა ამ ყვავილე-
 ბიანი მიწვიდან ჰაერში და მოისმა მათი ფრთების

ფიფიფიო, მიმოიფანტა ირგვლივ ყუმბარების ნაშხე-
 რეები.

— დაწევი, ამახანავ მატროსო! — ახლა უკვე რო-
 გორც შეთარმა შესძახა ყვავილებში თავჩარგულმა კა-
 ტამ, თუმცა ოთარი ამ ბრძანებამდე ჩამოხილიყო

პირველ. ახლა გაბმული სტვენა ჰკვეთდა ჰაერს. ზე-
 დიზედ მოდიოდა კურგები მტრის მხრიდან. და მერე

მათი ხმა ინთქებოდა რაღაც მიწისძვრისმგვარ გაბმულ
 გუგუნებზე. ეს ჩვენები უტყვედნენ. შეტევაზე გადაიღო-
 ნენ უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარები.

დამთავრდა, ასე მოკლე შეიქნა „გამოდარების“,
 ბავშვობის, მიწვირის ყვავილობის, უცნაური სიურპრი-
 ზების დრო, კატისათვის იწყებოდა ამ „პატარა ბი-
 კისაგან“ მორტანილი სუნთქვის შემკვერელი მწუხარების

დრო, იწყებოდა ნაცნობი და მინც ხელახლა შესაცნო-
 ბი რაღაც — სიცოცხლე უსიყვაროდ.

(ბაზრქილვაპა შემქმნა ნოქარაი)



კატის წინ იდგა თავის ასაკთან შედარებით მაღალი,
 შეიღვანიერი, მაკრამ მანც თითქმის პატარა ბიჭი.



შესრულდა ქართული ლიტერატურის გამოჩენილი კლასიკოსის, დიდი მწერალი რევოლუციონერის ეგნატე ნინოშვილის დაბადების ასი წლისთავი.

ეგნატე თომას ძე ნინოშვილი (ინგოროყვა) დაიბადა 1859 წლის 17 თებერვალს გურიაში, ლანჩხუთის მაზლაში, სოფელ ჩირგვეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ექვსი თვისას დედა გარდაეცვალა. ობოლს დედის მამაცვრობა მამიდა ნინო გაუწია. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება ეგნატემ ოჯახში მიიღო.

1876 წელს იგი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შევიდა, სადაც მალე მიიხირო მასწავლებლებისა და ამხანაგების ყურადღება, როგორც განსაკუთრებულად ნიჭიერმა ახალგაზრდამ. უკანასკნელ კლასში გადასული ეგნატე მოწაფეთა გაფიცვაში აქტიური მონაწილეობისათვის სასწავლებლიდან გარიცხეს «მგლის ბილეთით». მან მაინც მოახერხა გამოცდის ჩაბარება სახალხო მასწავლებლობის უფლების მისაღებად და 1879 წელს სოფელ ჩოჩხათში დაიწყო მასწავლებლობა.

1886 წელს ნაცნობ მეგობართა წრეში შერგოვილი მცირეოდენი თანხით ეგნატე საფრანგეთში გაემგზავრა უმაღლესი განათლების მისაღებად, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, უსახსრობის გამო, იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო და სამუშაოს ძებნა დაეწყო. რა არ გადაიტანა ამის შემდეგ მწერლობა, რამდენი პროფესია არ გამოიცვალა... ბუნებრივ სუსტი აგებულების,



დიდი მწერალი-რევოლუციონერი

ზამთრის სუსხიან დღეებში გაცვეთილ საზაფხულო პალატოში გამოხვეული ეგნატე ბათუმის ნავსადგურში გემების ტვირთავს, როტშილდის ქარხანაში დასისლიანებული თითებით თუნუქის ყუთებს აჭედებს, ზესტაფონსა და გომში მარკანეის კანტორებში მუშაობს უბრალო მოხელედ... ბოლოს ფიზიკუ-

რად დაუძლურებული, ქლევით შეზრთობილი, თბილისში ბინავდება, სადაც დაუცხრომელ მუშაობას ეწევა ახალგაზრდობის წრეებში, დაუღალავად კითხულობს და წერს, მცნობა არაღვალავი ლიტერატურას. შემდეგ სამკურნალოდ ბათუმში ჩაიღობა და მისი სიცოცხლის დღეები უკვე დათვლილია.

1894 წლის 12 მაისს, 35 წლის ეგნატე მშობლიურ ჩირგვეთში გარდაიცვალა და თან ჩაიტანა სამარეში მრავალი განუხორციელებელი ოცნება.

მიუხედავად იმისა, რომ ეგნატე ნინოშვილმა მთელი ცხოვრება აუტანელ გაჭირვებაში, მძიმე შრომასა და რეაქციის ძალებთან მუდმივ ბრძოლაში გაატარა, იგი არასდროს არ შემდრკალა სურათი. სწორედ ამ პირობებში, სულ ხუთ-ექვს წელიწადში, შექმნა თავისი შესანიშნავი ქმნილებანი.

მშრომელი გლეხობის უკიდურესი უფლებების, ჩაგვრისა და ფიქვემ გათულების შემზარავი სურათები დახატა მწერალმა ისეთი მოთხრობებით, როგორცაა «გოგია უიშვილი», «კაცია მუნჯაძე», «პალიასტომის ტბა», «განკარგულება», «სიმონა». ამავე თემაზე შექმნილი ისტორიული რომანი «ჯანყი გურიაში».

სიმონა ძალადის, ბესიას, სპირიდონ მცირიშვილის სახით მწერალმა შექმნა ჩაგრულთა ტიპები, რომლებიც ხმას იმადლებდნენ უსამართლობის წინააღმდეგ და იარაღით ხელში იცავდნენ თავიანთ ადამიანურ ღირსებებს.

ეგნატე ნინოშვილი ქართველ მწერალთაგან პირველი უზიარა მარქსიზმის იდეებს. იგი იყო ერთ-ერთი დამარცხებული და მეთაური საქართველოში პირველი მარქსისტული ორგანიზაციის — «მესამე დასისა».

ეგნატე ნინოშვილს ხალხის ინტერესების დაცვა მაინცდა მწერლობის უპირველეს ამოცანად. ამიტომ შეიფარა იგი ხალხმა განსაკუთრებით სიყვარულით, ამიტომ აღნიშნა დიდი ზეიმით მისი დაბადების ასი წლისთავი.

სიმონ გავაჩიანი



მეგობრებო! რომელმა თქვენგანმა არ გაიგო სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგად მიღწევის შესახებ. ეს დიდი მოვლენა უფროსებთან ერთად პატრიოტული რიტაყებს. ამიტომაცაა, რომ რედაქციაში ნორჩ მკითხველთა შრე გააღიწურა მოდის. ისინი გვთხოვენ უკმაყოფილო, თუ რას ისახავს ეს დიდი გეგმა ჩვენს რესპუბლიკაში, რა ახალი საწარმოები, ქარხნები და ფაბრიკები, ელექტროსადგურები იქნება აგებული შეიძლება მიიწვირობს უნტერესებთ, რა ამოცანები ჩვენი ახალგაზრდა თაობის წინაშე, სად, რა საქმეში უფრო საჭიროა ახალგაზრდობის მონაწილეობა და რის გაკეთება შეუძლიათ მათ ამ დიდი საქმის წარმატებით ვადატრისათვის. ამიტომ, ჩვენ თქვენი სახელით მოვიწვიეთ ჯიონურა კლუბის სსდომავზე საქართველოს სახალხო მეურნეობის სამჭობ თავმჯდომარე პატივეცემული გიორგი ჩოგოვაძე. მოვეხმინოთ მის საუბარს.

ს ა ქ ა რ ტ ვ ე ლ ო შ უ რ ე ნ ე ლ ე შ ი



საბირველეს ყოვლისა, შეგჩერდები სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის — მრეწველობის განვითარების საკითხებზე.

საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქცია შეიძლება დამლევისების 1958 წელთან შედარებით 75 პროცენტით გაზრდეს.

მრეწველობის ასეთი დიდი ზრდის აუცილებელი პირობაა მისი საფუძვლის — ენერგეტიკის განვითარება. ამიტომ შეიძლება დიდი ყურადღება ეთმობა ელექტროენერჯის გამოიმუშავების ზრდას. შეიძლება უკანასკნელ წელში ჩვენი ენერჯისისტემა გამოიმუშავებს ორჯერ მეტ ელექტროენერჯის, ვიდრე 1958 წელს. იმის წარმოსადგენად, თუ რა ტემპით ვითარდება ჩვენში ელექტროენერჯეტიკა, საკმარისია გა-

ვიხსენოთ, რომ 1913 წელს საქართველოში არსებული ელექტროსადგურების სიმძლავრე შეადგენდა მხოლოდ 8.000 კილოვატს. შემდეგ, 1928 წლისათვის ელექტროენერჯის გამოიმუშავება დაახლოებით ორჯერ გაიზარდა. ამ წლიდან დაწყებული კი ელექტროენერჯის გამოიმუშავება იმდენად დიდი ტემპით იზრდება, რომ მიმდევრო 17 წლის მანძილზე მან 37-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს. გავიდა კიდევ 13 წელი და 1958 წელს ელექტროენერჯის გამოიმუშავებამ რეკორდულამდენ დონეს უკვე 150-ჯერ გადააჭარბა. მიუხედავად განვითარების ასეთი არნახული ტემპისა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას ჩვენი ენერგეტიკა ვერ აკმაყოფილებს, რის გამოც, 1954 წლიდან

ელექტროენერჯის ჩვენ მეზობელ რესპუბლიკებიდან ვიღებთ, ამიტომაც არის, რომ შეიძლება გვევაჭყე და დი ყურადღება ეთმობა ახალ, მძლავრ ელექტროსადგურების მშენებლობას. შეიძლება მანძილზე ჩვენს ენერჯისისტემას შეემატება ლაჯანურისა და ხრამის მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები.

მიმდინარე წლის დამლევისათვის თბილისი და რუსთავი მიიღებს ბუნებრივ გაზს აზერბაიჯანიდან. ამ გაზის ბაზაზე აშენდება მძლავრი თბოსადგური რუსთავში. ასე რომ, შეიძლება ბოლოს ჩვენ შევძლებთ ელექტროენერჯიან რესპუბლიკის მოთხოვნილება ჩვენივე ელექტროენერჯით დაეაკმაყოფილოთ.

შეიძლება მეორე ნახევარში დაიწყება მძლავრი სადგურის მშენებლობა მდინარე ენგურზე.

მრეწველობის იმ დარგთა შორის, რომლებიც მიმდინარე შეიძლება უპირატესი ტემპით ვითარდებიან, არის ქიმიური მრეწველობა. იგი 1958 წელთან შედარებით 8-ჯერ გაიზარდება. საქართველოს ქიმიური მრეწველობა უკვე იძლევა და კვლავაც უფრო მზარდი რაოდენობით მოგვცემს მინერალურ სასუქებს, როგორც ჩვენი რესპუბლიკისათვის, ისე მეზობელი რესპუბლიკების სოფლის მეურნეობისათვის.

მანქანათმშენებლობა, ელექტრონიკა და ხელსაწყოთმშენებლობა შეიძლება მანძილზე 3,2-ჯერ უნდა გაიზარდოს. ყველაზე დიდი ტემპი ამ დარგში უნდა ელექტროტექნიკურ მრეწველობას, რომელიც 8-ჯერ გაიზარდება. მშენებლობის პროცესში 21 ახალი ელექტროტექნიკური ქარხანა, რომლებიც სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის, — სულ 100-ზე მეტი სახელწოდების ზუსტ მანქანებს დაამზადებენ.

ქუთაისის აგტოპარხანა შეიძლება მანძილზე გამოუშვებს სამთო პირობებისათვის განკუთვნილ სატვირთო აგტომანქანებს.





ორნახევარჯერ გაიზარდება ლითონ-მგრელი ჩარხების დამზადება. ფართოვდება მანქანების წარმოება მეჩაი-ეობის, მევენახეობისა და მეთამბაქო-ეობისათვის.

დიდი ტემპით განვითარდება მკიმე მრეწველობა. თუჯის გამოყენებაში ჩვენ ერთ სულ მოსახლეზე უკვე გავსწარი ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორც ირანი და იტალია. ხოლო ფოლადის წარმოების მხრივ შორს ჩამოვივით: თურქეთი, მექსიკა და ინდონეზია. საქართველო უშვებს გაცილებით მეტ ფოლადს, ვიდრე ნორვეგია, შვეიცარია და თურქეთი ერთად ამგებულად.

საქართველო მდიდარია წიაღისეულით. ჩვენ გვაქვს მანგანუმის უდიდესი საბადო დედაქალაქის ზურგზე.

შვიდწლადის განმავლობაში მანგანუმის წარმოება 35 პროცენტით გაიზარდება.

ქვანახშირის მრეწველობაში უდიდესი მოვლენაა შორის საბადოების დამუშავება. ქვანახშირის შორში აღმოჩენილ საბადოს მარჯვ აღმავტება ყველა აქამდე გამოკვლეულ საბადოს მარჯვ საქართველოში.

როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც. ფართო გამოყენება ჰპოვა საქართველოს არამადნეულმა წიაღისეულმა. მათ შორის თვალსაჩინო როლს თამაშობს ბარიტი, მითუმეტეს, რომ დღეს ბარიტზე სულ უფრო მეტ მოთხოვნილებას აყენებს ქიმიური მრეწველობა. ამიტომ დიდი ყურადღება მიექცევა ჩორღის ბარიტის საბადოს.

ანდეზიტის წარმოება მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ბაუსტიანშია. ანდეზიტი დიდად საჭიროა როგორც ქიმიური, ისე მრეწველობის სხვა დარგებისათვის: ანდეზიტის ქვის დეტალები, ფხვნილი, ღორღი, გამოიყენება გოგირდმჟავას, სინთეზური კაუჩუკის, სპირტის და ბენზინის დასამზადებლად. ანდეზიტს ჩვენ არამარტო რესპუბლიკის მრეწველობას ვხმარებთ. არამედ იგი ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში,

რუმინეთში, ვიეტნამში, ინდოეთსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში გაგვაქვს.

საბჭოთა კავშირში ერთადერთია თვალის მინერალური ფხვნილის ქარხანა.

მასფლოში სასუქეთსოდ ითვლება საქართველოს დიატომიტი ახალციხის რაიონში. ისევე, როგორც ანდეზიტი, იგიც მრავალ უცხო ქვეყანას ეგზავნება. ამიტომ არის, რომ შვიდწლადიანი გეგმა ითვალისწინებს ყველა ამ მეტად სასარგებლო და მომგებიანი წიაღისეულის მოპოვების მკვეთრ ზრდას.

ქარღული მამარაილოს სახელი შორს გასცდა ჩვენს ქვეყანას. იგი დიდი რაოდენობით იგზავნება ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. შვიდ-

წლიწლადის მანძილზე საკრძანობადად გაიზარდა მსუბუქი და კვების მრეწველობა, განსაკუთრებით კი ჩაისა და ყურძნის გადამამუშავება.

კვეების მრეწველობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა შედგენილია იმ ვარაუდით, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ პროდუქცია მიაწოდოს არა მარტო რესპუბლიკის მოსახლეობას, არამედ მთელ საბჭოთა კავშირს. ქართული ჩაის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირისათვის საყოველთაოა ცნობილი. ჩვენი რესპუბლიკა მუდამის ძირითადი ზაზა საბჭოთა კავშირში, იგი მთელი ჩაის პროდუქციის 97 პროცენტს იძლევა. მაგრამ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებას ჩაიზე საქართველო ჯერ-ჯერობით ვერ აკმაყოფილებს, რის გამოც საბჭოთა თავიერმა იძულებულია ჩაინაწილობრივ უცხოეთიდან შემოიტანოს.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახულია ამოცანა, შვიდწლედში ისე გავავითაროთ ჩაის მრეწველობა, რომ მთლიანად დაგაკმაყოფილოთ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის პროდუქციით.

ყურძნის დამუშავება შვიდწლედში გაიზარდება 175 ათას ტონით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1965 წელს გამოშვებული იქნება დაახლოებით თი მილიონი დეკალიტრი ლეონის მასალა, ყურძნის წვენი და სხვ.

პროდუქციის გამოშვებას მკვეთრად გაზრდის აგრეთვე საკონსერვო მრეწველობა, რომელიც 1965 წლისათვის 145 მილიონ ქილა კონსერვს გამოუშვებს.

მიმდინარე შვიდწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდება ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის გამოშვება ხელოვნურ და სინთეზურ ბოჭოსაკან. დამთავრდება გორის ბამბისა და მინანტის მშენებლობა, რაც ფაბრიკის წარმადობას 30 მილიონ მეტრი ქსოვილით გაზრდის. თბილისში შენდება ახალი აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკა.

ასეთია, მოკლედ, საქართველოს მრეწველობის განვითარების პერსპექტივები მიმდინარე შვიდწლედში.



წლედში დასახულია თვალისა და ანბეტის ყვითელი და ყავისფერი მამარაილოს მოპოვების გაფართოვება. შვიდწლადის მანძილზე რამდენჯერმე გაიზარდება მასალათა წარმოება. ასე მაგალითად: აჯური 1.6-ჯერ მეტი დამზადდება, ბლოკები 3-ჯერ მეტი, ასაწყობი რკინა-ბეტონის წარმოება თითქმის 20-ჯერ. შვიდწლადის მანძილზე მწყობრში შევა აჯურის ახალი ქარხანა აგებლასა და აჯამეთში.





სამრეწველო პროდუქციის დასახუ-
 ლ ზრდის მიღწევისათვის ერთ-ერთი
 აუცილებელი პირობაა საწარმოთა
 შემდგომი ტექნიკური პროგრესი. ამა-
 ში გადამწყვეტ როლს ასრულებენ
 ჩვენი სამრეწველო-კვლევითი ინსტი-
 ტუტები და საკონსტრუქტორო ბიუ-
 როები. დაახლოებით ორი წლის წი-
 ნათ თბილისში, რუსთავეში, ქუთაისში
 და გორში შეიქმნა სამცხეირო-კვლევითი
 ინსტიტუტები, რომელთა მოვა-
 ლეობაა ავტომატიზაციის დანერგვა
 და ხელსაწყოების გაუმჯობესება. უკ-
 ვე შექმნილია ბევრი საინტერესო მან-
 ქანა: მათემატიკური გამოთვლები,
 ტენსაზომები; შემუშავებულია საწარ-
 მო პროცესების ავტომატიზაციის
 პროექტები.

ახალ მანქანა-ხელსაწყოთა შექმნა
 განუწყვეტლივ იწარმოებს ამ შვიდ-
 წლევანობა და ექვეყარეშება, რომ მრავ-
 აღი ახალი საინტერესო მანქანა და
 მოწყობილობა შეიქმნება.

დიდი ამოცანებია დასახული სოფ-
 ლის მეურნეობის წინაშე. საქმე ისე
 უნდა მოვაწყუთ, რომ მივიღწიოთ სა-
 სოფლო-სამეურნეო პროდუქტების
 ისეთ ღირსს, რომელიც საშუალებას
 მოგვცემს მთლიანად დაგაკმაყოფი-
 ლოთ მოსახლეობის მითხოვნილებას
 სურსათზე.

შვიდწლედის მანძილზე ძირითა-
 დად დამთავრდება ყველა კოლმეურ-
 ნეობის ელექტროფიკაცია.

დიდი სახსრებია გამოყოფილი სა-
 ბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვ-
 რებო მშენებლობისათვის. საბინაო და
 კომუნალური მშენებლობებისათვის
 მართო სახელმწიფო სახსრებიდან შეი-
 ცდი წლის განმავლობაში რესპუბლი-
 კაში დაიხარჯება 4 მილიარდი 114
 მილიონი მანეთი, რაც მილიარდზე მე-
 ვრით მეტია წინა ხუთწლედში ამ
 საქმეზე დახარჯულ თანხაზე.

მნიშვნელოვანი თანხებია გამოყო-

ფილი აგრეთვე სკოლა-ინტერნატე-
 სი და საბავშვო დაწესებულებათა
 მშენებლობისათვის.

ყველაფერი ეს, ბავშვები, დიდად
 ამაღლებს მშრომელთა ცხოვრების
 საერთო ღირსს, რაც კონკრეტულად
 შეიძლება შემდეგში გამოიხატოს:

შემცირდება სამუშაო დღის ხანგრ-
 ძლიობა და სამუშაო დღეების რა-
 ოდენობა კვირაში.

გადიდდება სახალხო მეურნეობის
 საქონლის მზადება და გაუმჯობესდ-
 ება მისი ხარისხი.

ფართო გასაქანი მიეცემა საბინაო
 მშენებლობას.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მო-
 სახლეობის კულტურული და საყო-
 ფაცხოვრებო მომსახურება. გაიზრდებ-
 და ფულადი ხელფასები, დახმარებანი
 და პენსიები; შემცირდება ფასები;
 მცირეხელფასიანი მუშა-მოსამსახურე-
 ათათვის ხელფასი გადიდება 500-800
 მანეთამდე თვეში; უახლოეს წლებში
 განზრახულია მოსახლეობის გათავი-
 სუფლება გადასახადებისაგან.

1960 წელს დამთავრდება მუშა-მო-
 სამსახურეთა გადაყენა 7-6 საათიან
 სამუშაო დღეზე. 1962 წელს კი სამუ-
 შაო კვირა განზრახულია შემცირდეს
 40 საათამდე. ყველაფერი ეს უნდა
 განხორციელდეს არა ხელფასის შემ-
 ცირებით, არამედ მისი მნიშვნელოვან-
 ი ზრდით.

დიდი ღონისძიებაა დასახული სა-
 ხალხო განათლების დარეწვით. გვარამ
 ამის შესახებ თქვენ გასულ ნომერში
 უკვე გესაუბრებო საქარაფხლოს სსრ
 განათლების მინისტრი — გიორგი
 ვიზილაძე.

ჩემს უპრცდებზე

ის იყო, სხდომა დღის წესრიგის
 სხვა საკითხზე უნდა გადასულიყო,
 რომ ყველას ყურადღება კონს. ორ-
 ალმა მიიქცია, და იცით, ვინ შემო-
 ვიდა ოთახში? — ბიონერის წიგნაკი.
 დიახ, ბიონერის პირადი წიგნაკი, და
 სიტყვა მოითხოვა. სხდომაზე გადაწყვი-
 ტა სიტყვა ასე სახელდახელო სტუმ-
 რისათვის დაეწო.

გამარჯობათ ბავშვებო! აი, უკვე
 დამთავრდა სასწავლო წელი და გუ-
 ლით მინდა გიამოთ, რის გეკეთება
 შექლი ამ წლის განმავლობაში 75-
 ეკლონის მეოთხეკლასელმა ვაჟა გოგო-
 რიშვილმა; როგორ დაეუფლა იგი

ნორჩი ბიონერის პირველ საფეხურს.
 ამის შესახებ კი ჩემი ფურცლები
 უკეთ მოგიყვებიან.

მართალი ვიხიბრა, ბევრი იწვალა
 ვაჟამ ჩემს გაფორმებაზე. საკუთარი
 ხელით დამაზნადა. უნდოდა, სხეუ-
 ლსაგან რაღაცით განსხვავებული ვყო-
 ფილიყავი.

ჩემი ვაჟა მუდამ გულწის ჯიბეში

მინახავს სათუთად. და მასთან ერთად მეც დაფიქვე მოგზაურობა: სად არ ვიყავით, რა არ ენახეთ და ვის წავლეთ.

